

# ლიტერატურული განცემი

№62 11 - 24 ნოემბერი 2011

გამოყიდვის ორ პერიოდი ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



## ლია სტურუა

\*\*\*

ასეთი პორტრეტი —  
ფეხის წვერებზე, პირდაპირ, კაპილარები,  
ზედ წვეტიანი ფრჩხილები,  
რამეზე მოსაბდაუჭებლად,  
რასაც კაუჭი კი არა,  
ხიჭვიც არ უჩნდება.

ქვევით — შინაური საგნები,  
გამძლეობაში გამოცდოლი,  
მოქროჭუნე, ვითომ სიმძიმისგან,  
სინამდვილეში, იმედისთვის,  
შუქნიძანივით სისხლს ვერ გამოიდენენ,  
რომ გაგრჩონ,  
ფრჩხილებს შეიღებავ და, მაინც, წახვალ.

ცას არ სჭირდება ამომხტარი ფერები,  
თანაც, წვეტიანი,  
ზამთრის მზეს  
თავისი ფორთოხლები აქვს,  
სიცხეს, თუ უსმებ, თავისი თაფლი.  
თავი გინდა დაახახო?  
ამისთვის საწერი მაგიდა გაქვს,  
დაჯექი და იკაშკაშ!

IV

## მაკულატურიდან ლიტერატურამდე

მრგვალი მაგიდის იდეა სპონტანურად დაიბადა. „გალას“ რიგით მეხუთე, საიუბილეო დაჯილდოვების ცერემონიალის შემდეგ ერთდღოულად რამდენიმე ადამიანისადმი გამიჩნდა შეკითხვები — ლიტერატურული პრემია „გალას“ დამფუძნებლის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, მნერალ ზალ სამადაშვილისადმი; ამ ღონისძიების აქტიური მხარდამჭერის, საქართველოს კულტურისადა ძეგლთა დაცვის მინისტრის, ნიკოლოზ რურუსასა და „გალას“ ყიურის ნევრის, მნერლისა და პუბლიცისტის, მამუკა ხერხეულისძისადმი. სწორედ ამ ინტერესმა განაპირობა, შევკრებილიყავით და გველაბარაკაყველა იმ პრობლემასა თუ სიახლეზე, რომელიც ლიტერატურის სფეროშია. საუბარი გავიგრძელდა — ხან ვკამათობდით, ხან ერთ აზრზე ვიყავით, ხანაც ერთად ვეძებდით იმ გზებს, სასურველ შედეგამდე რომ მიგვიყვანდა.

ქუენთინ ტარანტინოს ოპერატორთან შეხვედრის შთაბეჭდილებები, ჰოლივუდური ფილმებით აღმოჩენილი ამერიკული ლიტერატურა, ახალი ინიციატივებიდან მოახლოებული გრანდიოზული პრეზენტაცია წიგნისა, რომელიც 8000-იანი ტირაჟით დაიბეჭდება და ამერიკის 200-მდე მაღაზიასა და ევროპის ყველა დედაქალაქის ყველაზე მსხვილ ქსელში გაიყიდება, ყალბი ავტორიტეტები და ქართული მნერლობის ხვალინდელი დღე, სილაჩრე თუ რეალობისგან გაქცევა... როგორ უნდა იქმნებოდეს კარგი სცენარები, რის დანერას გაურბიან თანამდებოვე მნერლები, როგორ შეირჩა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალისთვის 8 ქართველი პროზაიკოსი და ვინ უნდა ყოფილიყო მეცხრე?.. რა ნიშან-თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოვებული კარგი მნერალი, ვინ ერიდება ჯოზობეთურ შრომას და რა საქმიანობას ამჯობინებს ის მოთხრობების წერას?.. უნდა იყოს თუ არა მნერალი საზოგადო მოღვაწე, თუ ეს კომუნისტური გადმონაშთია?.. რაში გვიშლის ხელს პროვონციალიზმი და რა აღმოჩენა გააკეთა უცხოელმა სტუმარმა?.. არა მგონია, რომელიმე ამ თემამ ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი გულგრილი დატოვოს და კიდევ კარგა ხნით არჩავის ქართული მნერლობის წარსულზე, ან მყოსა და მომავალზე.

II-III









## ლია სტურუა

\*\*\*

რატომ „თქვენობით“?  
ნუთუ, ასე ბევრი ვარ?  
ოთახი კი მეჯახება,  
მთელი თავისი ავეჯით,  
თანაბარმარცვლოვან ხასიათზე დაყენებული,  
ამისგან გაბეზრებული,  
იქნებ, თვალებიდან  
ნაპერნებულები დამაყრევინოს,  
იდაყვებიდან — ელვა,  
ყელიდან რადიო ამომიღოს —  
მოკლე შინაარსი იმ ხანძრის,  
სიცხიანი მწერლები რომ იცოდა,  
ცოცხლები ხმარებისგან  
ერთ მათგანს  
დაგრეხილი მოთხრობის ბოლოში  
ლომები ესიზმრებოდა —  
დაკუნთული პათოსი, მაღალი ტემპერატურა!  
ამის რიმეიქი — ყვითელი ჟელე  
ნაკლებად გაღიზიანებს?  
ან მე რომ საკუთარი  
მუხტები მეყლაპება,  
ხორხის შეშუპება მეწყება?  
რატომ „თქვენობით“?  
სიტყვები სულ აღარ მაქვს...

ყველაზე ანგარიშგასანევი ნერვები  
კბილებშია, სიგარეტს ჭამენ,  
დღეში 2 კოლოფს,  
ოპერა მეც მიყვარს,  
სი ბემოლის წვეროზე ვდგავარ,  
ოღონდ, დამირეკე!

\*\*\*

დედა — ელისაბედი, მამა — მთვარე,  
უფრო მაშტაბური,  
შინაურული ვარიანტი — ლიმონი ჩაიში,  
საღამოობით ყმუილი.  
ხმა უბაცდება, მეცოდება დედა,  
არ ეზარება 80-იანი წლებიდან  
ჩემთან მოსვლა და ამაზე ლაპარაკი.  
მინდორს მოყვება, სიგრძეში — მწვანე,  
სიგანეში — ჩვეულებრივი მგელი,  
მარტოხელა ყმუილი ისევ უჭირს,  
მიკროფონით ვეხმარები,  
ჩემი გული, ფილტვები და სხვ.  
მოსაძებნა,

თავი თუ მოვუყარე, ხელში დავიჭერ —  
ასეთი თაგული დედაჩემისთვის!  
სევდანი სათაურიც რომ გავუკეთო,  
უკვე, ლექსი...

## დამირეკე!

დამირეკე! იქიდან დამირეკე!  
ელექტრონის ბოძს შეასკდი  
ფრთის ღეროთი, სულის ღერძით,  
როგორც გინდა, ოღონდ, დამირეკე!  
დამის მწერებს ხაოთანი  
შიში შემოაქვთ,  
შენ ქალალდე ხარ დაბეჭდილი,  
პრიალა, ლაქის ფეხსაცმელივით,  
რომელიც უსულოა და, მანც,  
მატკიებს კორუებს და ფრჩხილებს.  
ოპერა ისევ გიყვარს?  
საჭურისებს რისგან ამზადებენ?  
მთის ბრილისგან, მანვნის დედისგან,  
რიგითი ტყუილისგან?  
მათი ხმები სამშობლოში დაგაბრუნებენ,  
რომლის სათაურია მზე,  
ამ სათაურის ქვეშ ვიცხოვრე,  
ვეფხვის ფრაგმენტები დამრჩა მისგან,  
გაცრეცილი ხაერდის მაგნეტიზმი,  
ბროლის მეტასტაზები  
უკვე ასაკოვანი ცვედანების ხმაში,  
ჩემსას, მოწევისგან ჩაფუშულს,  
სმენა გაექცა.

მოცოცავენ ლოკოინები თეთრად,  
ჭიები ვარდისფრად, ატმის მომყოლით,  
რბილი სხეულები — ბალიშების ილუზია  
გზაში მკვდრებისთვის,  
ისიც არა, შიშისგან თუ დაიგრიხენ —  
ნაჭები სწორ ხაზზე,  
რომებთანაც რას მოვა  
ჩემი გრეხილები: მთების, კითხვის ნიშნების,  
მონუმენტურ-აზრიანი:  
აქეთ ნახვალ, ინანებ,  
იქით — მანქანა გაგიტანს,  
პირდაპირ ნახვალ, დაიღუპები,  
მერე, არჩევანის თავისუფლება?  
ბრტყელი სიტყვები არავისთვის...  
ფეხს დაადგამ  
და თეთრად დააჩნდებიან მინას,  
ან ვარდისფრად,  
ჩემი მოკვლა უფრო ძნელია,  
თუ, მანცდამაინც,  
ნაშთი — ფიცხი წითელი,  
ხვალ-ზეგ გოგენსაც  
ფეხი დაულპება,  
პალიტრას გაამდიდრებს  
შემოდგომით...

## ორჯერ ორი – ხუთი?

რას გიტოვებს მევდარი?  
ღია კარებს, მაღალ მატერიას,  
ჩაფენილს შავ ხერელებში  
იდეალურ დროს, სადაც მელანს  
იასამნის სუნი აქეს,  
მიწას მწვანე ბალახი უსვია —  
კარაქიანი გზა ზარმაცებისთვის  
ცივი სიტყვა, თბილი სიტყვა,  
შუაში სიმართლე, მაგ. ასეთი:  
საკუთარი თავიდან უზმოზე გახვალ,  
ფეხმძიმე დაბუნდები, მუცლიდან გაანათებ,  
გამრაცლების ტაბულას აიგდებ  
ორჯერ ორი ხუთის პრინციპით,  
სხვა საძირკველივით სიტყვებსაც:  
სიზუსტეს, უეჭველობას,  
კუნთების სპაზმით  
ჩანაცვლებულ სიყვარულს...  
გზას ბალახი უსვია,  
კარაქიანი პურივით,  
რბილად მისდევ,  
სიმრგვალეა მუცლების  
და მიწის ბორცვების,  
რომელში გაქვს სინათლის წყარო?

\*\*\*

დედაჩემს ეშინოდა:  
მაღალი სიმინდების,  
პოლიტიკური ანექდოტების,  
ჩემი თავისტუკილების...  
შიშს თავისი ლოგიკა ქონდა:  
მზისგან ნითლად ხაზგასმულ დღეებს  
სხვები მოყვებოდა —  
სარჩულებით დამჯდარი ფერის,  
რომ მერე, ისევ:  
გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი წიგნის  
პრიალა გარეკანი,  
სტრიქონებს შორის წყვილი წმინდანი,  
ქალური რითმა,  
გულის ამოვარდნებივით მოხტუნავე  
ვერლიბრი,  
ჯერ გაუბრდავი, მერე  
დედაბოძის რეპუტაციით.  
ამ მერე-ების ეშინოდა  
და სხვა ამგვარი რინების,  
ის კი არ იცოდა,  
თავიდან რომ ლურსმანი ამოვილო,  
მაშინვე მოვკვდები.





დასაცისი №61

\*\*\*

ფრანგებს უთქვამთ ცუდ წიგნზე: თავს არავის წააკითხებსო!

\*\*\*

ქვირფასი გალაკტიონი, დიდი გალაკტიონი: „ასეთია ამნაირი, ამ ცხოვრების ხლართები: თუ წაგლუნა, მერე წელში ვეღარ გაიმართები!“

\*\*\*

იყოს პოეზია გულის: იყოს პოეზია, როგორც ჭრილობა მოურჩენელი!

\*\*\*

დროს შეეჭიდა კოპელეთის უკიდეული ნიპილიზმი და კიდეც დაჯაბან! ეს გახლდათ ნიპილიზმი იმ პოეტისა, ვისი სიტყვაც მჭრელი იყო ხორასანულ ხანჯარზე უმეტეს!

\*\*\*

ჩემი ქორნილი შორეულ 68 წელს... მყეფარი იყო ი. ქართველი მედალი... როგორც მასოვს, კარგად „იყეფა“: გააოცა ჩემი მეჯვარე შოთა ჩანტლაძე!

\*\*\*

როგორც მენი წერს „ეკლეზიასტეს“ ავტორი იყო კომედეთ. ეს უყველია, მაგრამ მისი სახელი დაიკარგა ამ უკედავი წანარმოების მსოფლიოში „მოგზაურობის“ უმს! დაიკარგა მისი გამო, რომ ბიბლიის პირველმთარგმნელმა ბერძნებმა პოეტის სახელიც თარგმნეს და მივიღეთ ეკლეზიასტე... ეხლა წარმოიდგინოთ ძველი ჩინელი, იაპონელი, სპარსელი, ინდოელი და თვით ქართველი პოეტების სახელები, პროფესიულ ან გეოგრაფიულ შინაარსს რომ შეიცავენ... ამის გამოა დღეს მთარგმნელი პრაქტიკაში ხელაღებით უარყოფილი რომ არის სახელების თარგმნა...

\*\*\*

ლექსის წერა თვითმიზანი არ არის: თვითმიზანია კარგი პოეზის შექმნა!

\*\*\*

ასე ფიქრობდა პოეტი: მე ხომ ყველასთვის არა ვწერ: მაშ, ყველას როგორ უნდა მოვწონდეს?

\*\*\*

ამბობენ: ცივილიზაციის პირველი ნიშანი იყო ჯოხი: საყრდენი, დასჯის იარაღი. ჩვენც დავამატოთ: კაცობრიობა ამ ჯოხს ცერასონდეს ხელიდან ვერ გაავდეთ!

\*\*\*

ლიტერატურა ვერ იგუებს თვალის დახუჭვას, ვერდანსხვას!.. მისთვის მისაღებია ყოველგვარი სამართლიანი შეფასება, გადაფასება, რეინტერპრეტაცია...

\*\*\*

და თუ კარგად დააკვირდები, ყორნის თვალშიც მზეს დაინახავ!

\*\*\*

ბევრ მნერალს შეძრავს ციებით რეინტერპრეტაციები!..

\*\*\*

რა იმაღება შენი ველური გარეგნობის მიღმა?.. ევლავ ველური და ზემდიმე აზრები! კვლავ და კვლავ...

\*\*\*

ეჭვი: მეტეჭვა, ეგეთი თხელკედლიანი კული ვინგეს რომ ჰერნდეს, ლიტერატურული მტრების ოინგმა რომ გაუხეთები!

\*\*\*

მან ერთსა და იმავე ქვას ბევრჯერ წამოკრა ფეხი: ეხლაც ასე დაემართა!

\*\*\*

კარგად დავიწყებული ძველი: წაწლობა!.. ეხლა რომ ამბობენ, ამერიკული ბიოფრენდ-გირლზფრენდობა უნდა შემოვილოთო და ამის გასაცნობად ცხრა მთას იქით რომ მიდიან, ეს ამბავი, არა მგონია, საღი განსჯის მონაბერი რომ იყოს. ჯერ ერთი: სექსუალური აღვირას-ნილობის გასაცნობად ამერიკიაში რომ მიმდგზავრები, ეს ხომ აქაც თავზესაყრელი გაქვს... და მეორეც: შეჭკვიანი ადამიანო, გაიხსენე, ამ ასიოდე წლის წინ ჩვენს მთაში (ფშავში) წაწლობა რომ ჰყვაოდა: კარგად გაიხსენე და ამერიკიაში წასვლაც აღარ მოგინევის. მეტყვი: ეს ხომ პროვინციული ჩვეულება იყო, მაგრამ ამის პასუხი ასეთია: სექსი პროვინციაშიც და მეტროპოლიაშიც ერთნაირია, გინდ წაწლობა დაარქვი და გინდ სხვა რამ, თუნდაც: სექსუალური თავისუფლება... თუმცა იმასაც გეტყვი, რომ პროვინციაშიც და მეტროპოლიაშიც უკანონო სექსს ბოზობას ეძახინ; მორჩა და გათავდა: ამისთვის არც წარსულის შეწუხება გვინდდა და არც ამერიკაში ბოდიაში ბოდიაში! ერთსაც გეტყვი: ბოზობას ბევრი სინონიმი აქვს და, თუ ცოტა ტვინს გაანძრევ, შეიძლება სხვა რამ სახელიც დაანათლო!

დუნული და წელშიმოხილი რომ ცეკვას: ეშინია, ცას თავი არ ავარტყაო; თანაც იცის, რომ ეს ცა ჩვეულებრივი ცასულაც არ არის: ეს საღვთო ცაა!.. და მინასაც ფრთხილად აბიჯებს, რადგან იცის, რომ ეს მიწა საღვთო მიწა!

\*\*\*

ასე სჩანის: ცის კედელი აქ ვიღაცამ გადაანგრია!

\*\*\*

გიორგი ლეონიძე: „ცხოვრება ფიროს-მანის... უკვე აქა სჩანის, რომ მისი ავტორი იდეს დიდ პროზას შექმნიდა!.. განა ასე არ მოხდა?!

\*\*\*

ამბობენ, რომ საოცრება იყო უშანგი ჩხეიძის თორდები... მისი სახე და ხმა უფრო მინდიას მოუხდებოდა: ხმა, ქვეს-კნელისენ ჩაღმამავალი და მერმე კვლავ სამყაროს ამაზრზენ ძახილად შემობრუნვილი დაანათლო!



## ჯარჯი ფხოველი

## ხელის-გულის ანაბეჭდები

\*\*\*

სიხარული ხომ წამიერი მდგომარეობაა: ხოლო სიყვარული, როგორც სიხარულის უმაღლესი ფორმა, არ შეიძლება რომ მარადიული იყოს!

\*\*\*

„ბოლერო“ ციდან ჩამოდის: ცოტა ხელს უშლიან დრუბლები: თეთრად ბლანდავები და, უამისამ, აბლაბუდად გადააქციებენ.

\*\*\*

ერთი მითხარი, რამდენია პოეზიის წილი სიყვარულის გაყალბებაში?

\*\*\*

მკველის დედა ასე დასწყებული მოკულელის დედამ და ა.შ... და, საბედნიეროდ, კაცობრობამ გაუძლო თავისთავას: გადარჩა!.. მოდი, აქ ერთი კითხვაც დავსვათ: ვითომ გადარჩა?.. პო, გადარჩა! მაგრამ როგორი გადარჩა! როდემდე გადარჩა?..

\*\*\*

ნაპირებიდან რომ გადმოდის გული, მაშინ იწერება კარგი ლექსი, მაშინ იქმნება წინამდებარება!

\*\*\*

ჭეშმარიტი მწერლობა დმერთან საუბარია კაცთა გასაგებ ენაზე... მაგალითი: ვაჟა-ფშაველა!

\*\*\*

და უცებ: გარითმული სტრიქონები! კოხოტად ფაქტიზად ნერგენდობა აღმოჩენილი მტრების ოინგმა რომ გაუხეთები...

\*\*\*

ხომ შეგიმჩნევია: ქართველს ცის სიმაღლე არა ყოფნის, ამიტომა მუხლებიგა-

დუნული და წელშიმოხილი რომ ცეკვას: ეშინია, ცას თავი არ ავარტყაო; თანაც იცის, რომ ეს ცა ჩვეულებრივი ცასულაც არ არის: ეს საღვთო ცაა!.. და მინასაც ფრთხილად აბიჯებს, რადგან იცის, რომ ეს მიწა საღვთო მიწა!

მათი რიგი, მათი საქმე, მათი ასპარეზი... და ასეა: დიდი საქმეების სათვალეში დაბადებული ყოველი ქართველი მამელუკობის ნიშნითა დაღდასმული!.. ასეა, ასე!

\*\*\*

პოეტობის უმთავრესი ნიშანი: სიტყვის გაცოცხლების ჯადოსნური უნარი. პოეზია ენის გაცოცხლების, ენის ცხოვრების ლოთაბრივი პროცესია, დინებაა, სადაც მრავლად არიან ამ საქმეში ხელდასხმულნი, ყოვლის შემძლებელი და ასევე მრავლად არიან ვერშემძლებელნი, ხელმოცარულნი ერთ საქმეს მიელტვის სიტყვის გაცოცხლებას, მოციის ხატად გარდასახვისას...

\*\*\*

პოეზია ვერ დაეშვება საყოფაცხოვრებო შაირების დონემდე! ასევე სასურველია, რომ მას ავარიდოთ სკაბრეზული აღვირასხსილობა, სექსის დემონსტრირება, და სხვა...

\*\*\*

დამიჯვერებელი ქართველი იყო სიტყვის გამო უმყარესი ლენინი: სამყაროს აღლად და დავითის უკველაზე სასურველი დასვენებარება... გაგემაკათ კუზათ ქალი, არ დარჩვას, უშველეთა! ერთი ძუძუ ბალდეს ყვიფა, ერთი ჩამაუწყელეთა: ბალდის მამა არ გალუბდეს, დილ-დილ შამაუცხელეთა!

\*\*\*

ხალხის გამაოგნებელი ნიჭი. აი, ტოლეშლებისათვის ნასროლი სიტყვა: „დაგიბრებები ტოლეშლები, ეს ლექს ყველას უჩვენება!.. გაგემაკათ კუზათ ქალი, არ დარჩვას, უშველეთა! ერთი ძუძუ ბალდეს ყვიფა, ერთი ჩამაუწყელეთა: ბალდის მამა არ გალუბდეს, დილ-დილ შამაუცხელეთა!..“ გამო უმყარესი ლენინი და დავითის უკველაზე სასურველი დასვენებარება... გაგემაკათ კუზათ

დაიგდებთ!.. ვაი, ამისთანა სახელს!.. იმას  
ხომ საყოველთაო დამცირება და დაცინ-  
ვა მოსდევს!

\*\*\*  
არა! ეს არ არის მწერლობა! ეს არის  
იპეკაკუანა, გულს რომ გირევს: ღმერთმა  
დაიფაროს, მისმა ფესვმა ქართულ მინაში  
რომ გაიხაროს!

\* \* \*

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, წინაპართა პატივისცემის გრძხობა, დედის სიყვარულის უფაქიზეთი გრძნობა... ყოველივე ამას იმყოფება ქართული ადამი-

ასურელის, სულის მთლიანობის. თუკი ა გადნონ ბეჭებს ტალასით მოსვერი, მაშინ ქართველიც ვერ იქართველებს: ქართველი ხალხი გადაიქცევა უსახურ ჯოგად, რომელიც იოლად დაემორჩილება გადამთიელი ტვინის ნება-სურვილს, მანქურთის ბინძურ საყელესაც იოლად მოირგებს!

ეტყობა, ესენი დედის ნაშობები არ არიან!... ანდა დედა მათ წარმოუდგენიათ ყველაზე გახრენილ და გზის იქით გადა-  
ვარდნილ ძეგძავად!... „დე, პირში აიღებ?“ –  
წერს ერთი მათგანი... და ამ ამაზრზენი  
პროცესის გასრულების შემდეგ, ეს უდღე-  
ური „მწერალი“ ინცესტის ბრალდებით  
სასამართლოს წინაშე კი არ უნდა წარდგ-  
ეს, არამედ: თვალობი უნდა დაითხაროს,  
როგორც მამის მევლობმა და დედის პა-  
ვლინისი: წამი კონკრეტულია, ამ საკუთა-  
ნო და მართვის მიზანია.

ვანთან ცრემლავდა ქართულ „ნანინას“ ღვთაებრივ სიტყვებს, ვინც გადაიტანა უფულობას და უუფლებობას შავგნელ ხასა, ეხლა კირში უნდა აიღოს?.. რატომ არ გახმება ქართული ენა, როცა ვინძე მავანი ამგვარ მერქეხელობას იტყვის!.. რატომ არ დაიწვა ის ფურცელი, რომელზეც ამ უდღეულრა არსებამ ამგვარი რამ დაწერა.. ოჟ, შენი დედაც! ეტყვის ვინძე ხმამალოდ და საქვეყნოდ ამ ნაკაც-არ არსებას და ყველაზე ამაზრზენიც ის იქნება, თუ ამ გინებას ეს ვაიქართველი შეიცხადებს!!!

\*\*\*  
ფიქრის თავისუფლებას ვერავინ ნა-  
გართმებეს: ეს ფიქრი შეიძლება იყოს  
მრავალმხრივი, ოლონდ ქალღზე, სხვე-  
ბისთვის იმ ფიქრის გადატანა ხამს, რაც  
სალია, სამომავლოა... ხოლო თუ მაინცდ-  
ამაინც უხამსი ფიქრები მოგაძლება, თუ  
ინცესტის ჭრილში გადატეხილი პორ-  
ნოტექსტები გიმჩიმებს გულს და გონებას,  
მაშინ რა „გამწერლება“, შე წერაატანილ  
წერტილო, ჰა?!

აგრე, ძველისძველი, სახელურებიანი  
ტრამვაი: ის ერთხელ დიდმა შოთა ჩანტ-  
ლაძემ სალცარი რეკვიმით დაასაჩქურა!...

\* \* \*

შემეცნება ჩვენ გვეხმარება დაფარულის ნაწილობრივ აღქმაში, ნაწილობრივ დანახვაში, ხოლო უხილავის მთლიანად გაცხადების უძნელეს ამოცანას ის ინტუიციის ძალმოსილებას უტოვებს...

\* \* \*

მეუბნება: საზოგადოება, სახლი, სამ-  
სახური... და არსად თავისუფალი არ  
ვიყვავი, არსად, არსად!.. ერთადერთი აღა-  
გი, სადაც თავისუფალი ვიყვავი, ეს იყო  
საწერი მაგიდა და სიმარტივე... აქ ვიყვავი,  
როგორც სული, სივრცემა მოფარფატე,  
სადაც ვერა გწვდება სხვათა ნება, მუშტებს  
არ გიღერებს, ხელებს არ გიგრებს, სადაც  
ვერ გრძნობ კანიხების ჩხვლეტას, სადაც  
არა ხარ ავი თვალის სამიზნე... და სხვა...  
და სხვა...

\* \* \*

ნეინდა პოეზიის თვისება: მარადი სიახლე, სინედლე, სიცოცხლის უწვეულო უნარი... აი, შოთა ჩანტლაძის ლექსები: თითქოს აგერ, ახლახანს დანერო, თითქოს სულ ახლახანს შეამრა მეღლანი...

\* \* \*

მეუბნება: ბეჭნიერებაა, როცა ცდა  
წარმატებით მთავრდება. როცა ცდის

შედეგია სამყაროს ცოცხალი, ემოციური ნაწილის აღმოჩენა, დამკვიდრება... უბე-დურება, როცა ცდა წარუმატებლად მთავრდება: ეს ის შემთხვევაა, როცა პოე-ტი სხვის ან თავის მიგნებას რაიმე ფორ-მით იმეორებს: იმეორებს ცუდად, შტამ-პავს ხოლო ის ამბავი, როცა არის ე.წ. დაშტამპული პოეზია და იქვე არის ე.წ. ექსპრესიონისტული პოეზია: ეს, ცხადია, რაღაც გაუგებდობის შედეგია... ასე მგნი-ნა მე ეს ამბავი, ოღონდ უნიჭო ექსპრი-მენტი, უნიჭო ჩისირ კედელაობა, სიტყვების არაათამიანური ტანჯვა, ღმერთისა აშო-როს ჩვენს პოეზიას!.. არ გვინდა, არ გვინ-ო!

აი, თოხივ კუთხით მოჯარული მტრის  
მოყურიდე ერი: ის მტრებში ირჩევს მე-  
გობრებს: ირჩევს ნაკლებ ბოროტებას...  
ჰყავს დაქსაძსული ჯარი, რომელიც  
მარცხდება კიდეც და იმარჯვებს კიდეც...  
ჰყავს დალზინებული სახელმწიფო ბი-  
ურო კუატია, რომლისთვისაც არც პატრო-  
ნტიზმია უცხო და არც დალატი... მას  
შეუძლია საკუთარი ხალხის მიტოვებაც  
და დაცვაც... თვისებები: გათიშულობა,  
დათითოკაცება, პარტიომანია, უკიდურე-  
სი ეგოცენტრიზმი, ფუუე ინდივიდუალ-  
იზმი... მოურჩენელი ავადყოფისები, რაც  
კარგადა დაფიქსირებული ჩვენს ისტო-  
რიაში... ასეა: ერი დაუბრუნდა თავისითავს:  
კვლავ იპოვა თავისი თავი, სწორებ ისე-  
თი, იმარასიოდე წლის წინ რომ დაკარგა: არც  
მეტი, არც ნაკლები: ერის ისტორია  
უბრუნდება თავის კალაპოტს!

\*\* \*  
რა მიზანს ისახავდა სამოთხეში გად-  
მოგდებული ეული ადამიანის ყოფნა?  
ამაზე ბუნებას პასუხი არა აქვს. აქ არც  
გონითი ვარჯიშობის შედეგად მიიღწევა  
რაიმე ხელშესახები პასუხი... უბრალოდ:  
ეს ქმედება უნდა მივიღოთ, როგორც ღვ-  
თისეული: უკომენტაროდ, უეჭველად! ეს  
ცხადია... ოღონდ, აქ მოვიხმოთ ერთი ასე-  
თი ბოლოკუდაც: ზეციერის მიზანი  
უდაოდ სიცოცხლის გავრცელება და მისი  
სრულყოფა იყო!.. დასტურ, ასეა!

\*\*\*  
სიცოცხლის განუწყვეტელი ბრძოლა  
და მისი ნაყოფი: ადამიანი! ის ექცეს სამ-  
ყაროს ჰარმონიას, მაგრამ უშედგოდ. ან-  
ტაგონისტურ სამყაროში ის გაქრება, თუ  
არ იბრძოლა! ესაა სიცოცხლის უმთავრე-  
სი თვისება: გადარჩენის ინსტიტი. ეს უნ-  
არი ადამიანს აძლებინებს და მიჰყავს ის  
საბოლოო გამარჯვებამდე!

\* \* \*

გეუბნები: განა რამდენი ლექსი მმა-  
რთებს? ვინ იცის, საკმაოა, თუ არა ის, რაც  
მიუკრძონი, რაც დაჩიტილმა ვუთხარი,  
რაც ვეგულდაბლე, რაც ვენიწე!.. ვინ  
იარის საკმაოა თუ არა?

\* \* \*

გულს აფართოებს და აღმა ეწევა, სარ-  
მელში ცოცხალი ლექსი რომ შემოხე-  
დავს: ეს არის მზიანი დღის დასაწყისი!

\*\* \*  
ის ლექსი, რომლის არცერთი სტრიქონი გულს არა ხვდება, არ შეგზარავს და თმას არ აგიშლის: ის ლექსი სანაცვეზე უნდა გავიტანოთ!.. თუ ამას ჩენ არ გავაკეთებთ, მაშინ ამას უჩევენოდ გააკეთებენ სხვები: თაობები გზებს გაღორღავენ!

მაგიური ძალა აქვს ვაჟა-ფშაველას  
სახელს: ეს ძალა მისცა ღვთიურმა ნიჭმა  
და მისი ცხოვრების ლეგენდაში. ქამთასვ-  
ლა უფრო აძლიერებს იმ მაგიურ არეს,  
ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასა და ცხ-  
ოვრებას ომ არტყია... ქვეყნიური ავ-  
კარგის შეცნობის, სულის გასპეტაკების  
მოწადინი შთამომავალთაგან მეტნი და  
მეტნი შევლენ ამ მაგნიტურ არეში, ამ ღვ-  
თაებრივ განსაზმენდელში, სადაც კეთილ-  
ისა და ბოროტის შეზობლობა და ბუნები-  
თი უბრალოება ქმნის ყოფიერების ფი-  
ლობრიფურ სარკეს და, სადაც ბევრ რამეს  
იძოვის ის, ვინც თავისი სულისა და  
გრძნობებისა საზრდოს ეძებს... ვაჟა-ფშავე-  
ლა არა მარტო იმას მოძღვრავს, ვინც მის  
ნიგნზე დახრილა დღე და ღამე, ვინც მის  
სალილო მიწათვით ძაღლობა არამართ



იმასაც, ვისთვისასაც ვაუგა-ზფაველა ჯერაც  
გამოცანაა: იმასაც ასპეტაკებს თავისი  
იდუმალი ზემოქმედებით... წმინდა ვაუგა-  
ზფაველას უკვდავი სახელი, სხვა დიდი  
წინაპრების სახელებთან ერთად ქმნის  
ეროვნულ ჰაერს, ატმოსფეროს, რე-  
ლიეფს, სადაც ყველაფერია ქართული  
სულის ამაღლებისათვის და, რაც გვერდ-  
ში უდგას ქრისტიანული ცივილიზაციის  
ყველაზე თვალსაჩინო მონაცოვრებს...  
ვიცხოვროთ ისე, რომ შევქმნათ ჭეშმარი-  
ტი ცხოვრება: ამას გვეუბნება წმინდა პო-  
ეტის უკვდავი სახელი....

ეგრე დამცირნავად რომ მისმენ, ერთი თვალი გულში ჩაიბრუნე, იქაურობა მიჩხრიკ-მოჩხრიკე, ჩვენ თანამოძმენი და თანამოსაქმენი ხომ არა ვართ!.. ანდა, სულაც ერთნი ხომ არა ვართ? ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემ ლანდნ ვესაუბრებოდე, თითქოს ჩემს ორეულს ვახსენებდე თავისი ნარსულს, თავის თავგადასავალს!.. რას იტყვი, ჰპ?

\*\*\*  
ცივილიზაცია, როგორც ბუნების ხელოვნური, არაბუნებრივი დანამატი...

თავის ძეელ მეზობელზე ეგრე ამბობ-  
მილიციამ სოფელი რომ გამოთოვა  
ყაჩაღები ამოჟუქა, ეგეც მაშინ მოკ-  
უს, ბოროტი იყო და მოკლეს: ვითომ  
მთხვევით, ვითომ ყაჩაღებში აერიათ!..  
ელდით დავმარხე: ვაითუ გაცოცხ-  
ებს-მეთქი; სასწრაფოდ გაჭრილ მინა-  
ჩავაგდე, ჩქარ-ჩქარა მივაყარე ღორ-  
და ქვიშა!.. ვაითუ გაცოცხლდეს-მეთ-  
ი ისეთი ბოროტი იყო, ისეთი; მუცელ-  
ელიანი, სისხლისმხვრეტელი, სხვათა  
რემლებზე მოქეიფე!

\* \* \*

**აპბონენ:** ევროპიდან და აზიიდან  
თქოს ოკეანის სტიქიამ გადატყორცნა  
ამიანი სხვა მატერიკებზე და კუნძულებ-  
ე ჯერ კიდევ უხსოვარ დღოში... მაგრამ,  
ადამიანებით, ვის შემზებობით გადა-  
ტყორცნა, ამას არ ამბობენ, რადგან ეს  
კრაულია, რადგან ამას მტკიცება და  
ბუთი სჭირდება... ხოლო საბუთი არ  
ია!

\* \* \*

მითხვა: ასე უფრო ღრმად, უფრო ბო-  
მდე არავინ ჩაფლულა წუმპეში, მე რომ  
ვეფალი, ჩავყვინთე და ვიგებე იქაური  
ბილიც და მწარეც: ყოველი სიბილნე,  
რამ არსებობს, მე ჩავიდინე!.. რაში არ  
ჩიე, რა სიბინძურეში არა ვტოვე და ვყ-  
ბე მწიკვლი და ტალახი... და აი, ბოლოს  
დავრჩი: ძვლების გროვა და ტყავი,  
იმელსაც მრავალი ბოროტების კვალი  
ყვია... ვერც მპარავობამ გამამდიდრა,  
რც გარყვნილებამ დამაჯამაყოლა, ვერ  
ავალ ბოროტების ღვარში აა ეხლა

\* \* \*

მეუბნება: ვიღაც ჩვენს იმედებს ამსხვერებს, ჩვენს იმედებს კლავს და ყოველ-დღე უიმედობის, უმომავლობის, უსასოობის წყვიადს გვაძალებს... იმედზე დიდი ხალხს რაღა უნდა წაართვან, რაღა უნდა გამოგლოჯონ ხელიდან! ხალხი კი წინ მიიჩევს თავისითავად, ინერციით, მომავლის იმედების მკვლელობის მოლოდინში... ასეთია ეს დღე, ეს დრო, ეს ცხოვრება ჩვენი, ძალური!

შეყვარებულმა არ იცის, „რაა სიყ-  
ვარული, რადგან უყვარს“, „ნაღლმა მე-  
ლექსემ“ არ იცის, რაა პოეზია, რადგან  
ნაღდ ლექსებს ამოთქვამს, რადგან გული  
ამოაქს სამზეოზე: გულს სთავაზობს ად-  
ამიანებს!.. ეს არის გიორგი ჩარკვიანის:  
„ნაღლი მელექსე“, უჩინარი პოეტი. უჩი-  
ნარი იმიტომ, რომ იცის: „ნიჭს არ აპატიე-  
ბენ“ ამ უმაღურ საქართველოში! და აქვე: „  
„ნაღლი მელექსის“ ბედის სიმუხსთლე: იძე-  
ლისნაცვალი უიმედობა: „ბედნიერი ვერ  
გახდები, თუ მართლა ხარ მელექსე...“ არა,  
ის ბედნიერ პოეტებს (თუ არსებობს ამგ-  
ვარი კასტა!) არ ეკამათება; ის თავისი  
გულს ჩასძახის, რომ იქიდან გამოწუროს  
ნაღდი ლექსის კრისტალები: ის ღვთაე-  
ბრივი წვეთები, რაც, საბენიეროდ, არ  
იყარგება აქაც კი, აქაც: ამ უმაღურ საქარ-  
თვლოში!

\* \* \*

ქარაბეში მამლები ადრე იღვიძებენ: თითქმის შუალამისას გაჰყივიან უბინდან უბანს, ქუჩიდან ქუჩას, პროსპექტიდან პროსპექტს, სახლიდან სახლს! ამბობის დამის განათების ბარალი არისო... ეს აზრი სარწმუნო არაა! მამალი, თავის ჰარამხანის დევნაში, ნუთუ იმდენად გამოყენებიდა, რომ აისის დადგომა ელექტროგანათებაში ერვეა?! არაა ასე! მამალს უფრო რომელიდაც კოსმიური სიგნალი აღვიძებს, ვიდრე სხეგა რამ და თავის ყიგილს აღავლენს ვარსკვლავებისაკენ: მინიერ სიგნალს აგზავნის მნათობების სახარ-ბა კში! ასეა ეს!

## გია სომერიკი

### ხა მილა

მინდა დაცნერო ისეთი ლექსი,  
რომ სილამაზის მოსწყდეს ჩანჩქერი...  
გაიხსნას კარი ლამაზი ზეცის,  
რომელიც ლამაზ მინას დასცერის!

### გულის ტრიოლეტი

ღმერთო, ეს სილამაზე გაამკრთალე ცოტა,  
ანდა ამ გულს მიეცი გამძლეობა მეტი,  
აპატიე სუვერელას, ვინც კი ვისთან სცოდა,  
ღმერთო, ეს სილამაზე გაამკრთალე ცოტა.  
აგე ჭრელი ჩიტუნა გადმოეშვა რტოდან,  
იმას გამოესალმა რტოს პატარა წვეტი,  
ღმერთო, ეს სილამაზე გაამკრთალე ცოტა,  
ანდა ამ გულს მიეცი გამძლეობა მეტი.

### ცხინა

აგურისფერი ცაა.  
დამეა. მაგრა წვიმს.  
ასე კენტად და ცალად  
ჩემი თავისა მწყინს.

### მონოტონი ცვია

წვიმა მონოტონური მოდის.. მოდის.. მოდის...  
და თავისი დუმილით რალაცის თქმას აპირებს,  
ლექსი ძველი ჯობის ლექსებს ახალ მოდის,  
სიცოცხლე და სიკვდლი წუთისოფელს აკვირვებს.  
როდის იყო წეტავი, წეტა იყო როდის,  
წვიმა რომ არ უყვარდათ ზღვის ნისლიან ნაპირებს?  
ჰესამეტრი ტონური ზვირთებივით მოდის..  
და თეტისი დასტირის გულამომჯდარ აქილლევს.

### ლამეა. გელა. არ ჩანს...

ლამეა. ბნელა. ვარსკვლავი არ ჩანს...  
და მთვარეც სადლაც გადაკარგულა.  
ის ლამე სულში მზესავით ჩამრჩა,  
იგი შენმა მზემ ჩემს მზეს არგუნა.

### ნათელი ხარი

ნარმოშბით ელლინი, დაბადებით ქართველი –  
მივდივარ და ვერევი სილამაზის ჭაპანს,  
4-ჯერ მკვდრეთით აღმდგარი... და ხარივით ნათელი  
ხნულში თესლს ვყრი ვარდისას... და წვიმების ზღაპარს.

### MARIA

სიწმიდის თეთრო MARIA,  
შეუნდე ამ შავ ტალღებს,  
ზღვა – mare, ზღვები – Maria  
შენთვის სივრცეებს აღებს!

### ცვია

სიტყვას ვეძებ, რომელსაც  
არასოდეს ძინავს!  
სიტყვას, მე რომ მომეცა –  
ზუსტი, როგორც წვიმა!

### დღე და ლამე 1979 წლის გახსენება

რომ არ წამოველ, მქონდა მოტივი,  
მოტივი სათქვენონი...  
მწარე სიზმრებში ოქროს ზოდივით  
მტკიროდა პართენონი!

### ნაღვლიანი დღე

შესუდრულიყო კვიპარისი –  
ვაზით, სუროთი –  
ქუჩაში ეგდო იკაროსის  
თეთრი სურათი.

### ლოცვა

პიტალო კლდის ყვავილი –  
მიმართული მზისკენ –  
მე ვარ სოფლის მარილი –  
ღმერთო, ღმერთო, მიხსენ!

### ვაკტი

ლექსის დაწერა მინდოდა,  
ლექსი მინდოდა, მგონი,  
მომესმა, ბავშვი ტიროდა –  
გადმებინდა გონი.

### მოუთხალობა

ლექსის საბეჭდად მივრბივარ  
სულ-მოუთქმელი, სულსწრავი...  
ღმერთო, თქვი, თუნდაც ირიბად,  
რომ მე შენი ვარ მონაფე...

### ლექსი მანანას

გული გამიწვრილა სიცხემ.  
ამ გულმა ბევრი მანანა –  
ნყალში ვდგევარ და ვიწვი,  
ლექსი დაწერეო – მანანამ.

### ცვიას იდენტიფიკაცია

ისევ წვიმა მოვიდა,  
ისევ წვიმა მოდის,  
წვიმა ჩვენთვის ოდიოგან  
სისხლად გარდამოდის.

### გულის მორჩილები

რა ადვილად სწავლობს ბავშვი  
დაუწერელ წესებს  
და მეც მესმის, მესმის შაშვის –  
გალობს ოქრო-ლექსებს...

### იმადის იმაზი

მგლის ისე არ გეშინია, როგორც ტურების ჯიშის.  
ძილში მევდრებს ესაუბრები, დილით სიმღერებს ფერობ.  
რაც ძალდონე გაქვს იბრძვი, უკან ფონია შიშის.  
თაგა ძალას ატან: იხსენებ სიტყვებს: Dum spiro, spero!\*

\*ლათ.: სანამ ვსუნთქავ, იმედი მაქვს!

### ურაგანი ვიში

#### ემი ვაინჰაუზის ხსოვნას

იცი, რომ ხშირად ხდება... და ვერ ისვენებს ტვინი.  
ვიდაც მოიკავა თავს და... სული სულისთქმას ვიშლი.  
რაც უფრო ახალგაზრდაა, მით უფრო მწარედ ტირი...  
რაც უფრო ნიჭიერია, მით უფრო გიპყრობს შიში.

### მოუსვერობა

რა არ გასვენებს, ჩემო გივარგი?  
რა ეშმაკი გყავს შემჯდარი ტანში?  
ჩემ ხელში კიდე კარგად ივარგე;  
არ მოიშალე ცეცხლთან თამაში.

### გზა და შერიგება

გზე ამოდის და ჩადის, მზე ამოდის და ჩადის...  
სულ მეშინა რატომლაც: ჩასული, არ ამოვიდეს.  
სადღაც დედა და მამა, სადღაც ჯვარია ჭადის,  
სადღაც ცელია ბასრი... მიცდის აიანტ-ოდისსევსს.



## სოსო მეშველიანი

### ოთხები

„რა მიზე ზია, რომ მალიმალ გვემლვრევა სისხლი?“  
ივანესი

ნაძვნარებიდან ვეებერთელა მთვარე ამოდის,  
ახლა ჩიტები ერთ საერთო სიზმარს ხედავენ.  
ოთხი ვიყავით, იმ თეთრ ღამეს, მარიამობის,  
პატარა ღელე, თივის ზეინი, იფნის ხე და მე.

ოთხი ვიყავით (სიმინდებზე ახლაც დაფრინავს  
ციცინათელა, როგორც მაშინ (მაშინაც გწერდით),  
მოწვეტილ ვარსკვლავს ირეკლავდა, იმ განაპირას,  
ნამწამის ღერზე შერჩენილი, კამამა წვეთი.

ოთხი ვიყავით, ყველა ფიქრის და ლექსის მიღმა,  
საგულდეგულობი მოგრძოლი ყველა კადრიდან.  
ხეების შერალს ტყის სულების ჩურჩულს ვადრი და  
მეც დრუიდივით სამუდამო შევერწყმე იმ ხმას.

### გავდარი ჩიტი

რაც ქალაქმა ჩაელა,  
მკვდარმა ჩიტმა გააცოცხლა-  
მოგონებანი სოფელზე  
ნარმულგენლად ტებილი სურნელი  
ადრის დამჭენარი ყვავილის,  
ერთმანეთს მიწებებული დღეები,  
მსხლის წვენით დათხუპნილი ბავშვობის  
თამაში ხორციანა წითელ მამალთან და  
ვეგტარინებული დედაჩემი,  
დასაწყლებული ბატკნის თვალებით  
სიმინდებიდან გამომძრალი —  
ლერაქზე დაკრული ლობის ფოთლებით.  
გიუ მეზობელიც მომაგონა,  
პატარა, თხილის ჯოხით ხელში,  
ჩიტებს რომ დირიჟორობდა  
დამწიფებულ თუთებთან.

### გეზობელ აასტორს

„fumar puede matar“

„მოწევა სიკვდილს იწვევს“-ო, პადრე!  
ასე გამოდის, თავს იყლავთ თურმე,  
თვითმკვლელობა ხომ ცოდვა დიდი.  
თქვენს რაკენ-როლი გიყვარდათ ადრე,  
ბანქის თამაშით ართობდით სტუმრებს  
და ზღვის პავასაც სათქვენოდ თვლიდით.  
ახლა კი მთან ქალაქში ცხოვრობთ  
და ხმადაბალზე უსმენთ მონტსერატ  
კაბალიებს და, ოპერა მხოლოდ...  
სხვისი არაფრის არ გსურთ მოსმენა.  
ვეება მთვარის კაშამა შუქი  
ჩრდილს რომ დაგახრის გვერდზე, მონასტრის..  
ვერენი გიბედავთ აბარაქი, თუ კი  
პარტიას უსმენთ დეზდემონასი.  
გიყვართ ჭადრაკი, დროს კლავთ თამაშით.  
ალბათ თქვენც გიკეირით თქვენივე ხვედრი.  
ვინ დაამსგავსა ასე ლამანჩელს  
შებ მომართული ფიგურა მხედრის.  
ბოდში! ვიცი, ზედმეტი გადადრეთ  
(თქვენ კი ეწვევით, მკაცრი და მშვიდი),  
„fumar puede matar“-ო, პადრე!  
თვითმკვლელობა კი, ცოდვა დიდი.

### RIO VERDE

სულ ფოთოლ-ფოთოლ ჩაიფურცლა გიორგობისთვე,  
ზის მწვანე სკამზე, ხეივანში, ხეიბარი და  
დგას წმინდა პავლები, თითქოს ჩიტების ითვლის კოპიტზე  
პატარა სკვერში. იქვე ახლოს გეი-ბარიდან

ისმის ხმაური. ვაგემოვნებ ხორციან კერძებს,  
ნკრიალებს ჭიქა. ქვეშ მეტროა. ვიღაც ლოთი კი  
მღერის. პირდაპირ, კათედრალის ვეება მკერდზე,  
შეინიშნება ინმუშები ძველი გოთიკის.

გეო ბიჭს ტანი უთამაშებს, ნავარჯოშევი,  
შეწყვლე სასმელს ეტანება, ჰაშმის ნაკლებად.  
ნორჩი ნაბლების ხეივანი, თითქმის შიშველი,  
ავტომობილთა ნაკადებშუა მიკლაკნება.

ვარ და თან არც ვარ, სიზმარივით, დანამდვილებით  
ვერ ვიტყვი იმას, არც არ უთქვამს დღემდე არავის.  
აპა ისინიც! მოცახცახე მათი ჩრდილები  
შეშინებული ძაღლებივით კუდებს მალავენ.

შემოიხვია კათედრალმა ბინდი სუტივით,  
ქუჩის გამო



\*\*\*

რა საბაბი მაქვს, აბა ერთი დამისახელე, რომ ამ ყველაფერს ამრეზილი თვალით ვუყურო. ერთომეორის მიყოლებით თვალებს ახელენ ვარსკევლავები და... ვეებერთელა შავი ფუძურო გამოიბურცა ფიჭვის ხეზე. და ის გახელებს, რომ მოჩვენებებს სიზმრის კარი გამოუხურო.

ცამ ბაყაყების ბნელ გუბიდან ამოიხედა, მოღრუბლულ ქვირითს ეფარება მთვარის ნალევი. ერთი შეხებით ვიკუმშები, უკან ვიხევ და ვით ლოკოკინა, ჩემს ნაჭუჭში შევიმალები.

#### არშიმდგარი ლიალოგი კუნძულზე

თქვენ მგონი ახსენეთ მონმარტრი, დონ-მარტინ! ასე უადგილოდ და ასე უბრალოდ. (თქვენ ხართ წარმოშობით აზიატი) რა თქვენი ბრალი არის, რომ მარტის დაგვათ უხეირო ხასიათი, არ გიყვართ ყველასთან საუბარი.

ვენევით. ლიმინის ბალთან ვზივართ. თქვენ გაქვთ შესაშურო ფანტაზია, ამიტომ თავიდანვე გაფასებდით. ვერთობით თავპრუდამშვევ ნაფაზებით, არ გიყვართ არც მხატვრობა, არც მუსიკა, გიყვართ უნამუნო (ფანჯრის რაფაზე კი ქოთნით პატარა კაქტუსი დაბა). თქვენ უკვე შეეშვით ვალაქტიკებს, მიწაზე დაეშვით. ჭარხლის და ბოლოკის მოყვანა დაინტერი.

და ეს არც ეპილოგია და არც პროლოგი. ზოგჯერ უცნაურად მაკვირდებით ეს ქველი, ცნობილი ასტროლოგი.

ვზივართ და ქარმა ოკეანის უსასრულობიდან დაგვიბერა, ისევ შეარხია ლიმონები. თქვენი თუთიყუში “მარიბელა” კენკავს, მაგრამ ვედარ იმეორებს სიტყვებს და ჩიჩახვი ებერება თქვენსავით, დონ-მარტინ-ებერელა.

#### გაცდა მუსიკისგან

ჩვევად დამჩემდა ხეტიალი ყოველ ხუთშაბათს, ვათვალიერებ დამის ქუჩებს ავტობუსიდან. ასველებს წვერია მოყვითალო სახლის შუშანდს, სადაც სარკმლიდან კვლავ იღვრება ბრამსის მუსიკა.

სადაც ჰაერსაც მუსიკად ქმნის სუნი კერძებს ამ რესტორნებთან, ბევრ მათხოვარს კრუნჩხავს სიცივეს. ხურდებს აგროვებს ბოშა ქალი, ხოლო მკერდზე კი ებლაუჭება უსუსური ჩივილი მისივე.

საროსკიპოა, საელჩი რომ იყო ლაოსის, ასე იცვლება უცნაურად ქალაქის ხედი. მომლაშო დამე ინრიტება სასაფლაოზე, თითქოს ისევე კმაყოფილი ახალი ცხედრით.

რა ვქნა, სიზმრებიც გაიყინებ და რა ჩატეხავს ამ ლურჯ ყინულქეშ დარჩა სულის კამკამა ფსეკრი. თქვენ კი ჰაერზე მიაბიჯებთ, ისე მჩატე ხართ. ფეხქვეშ ფაფუად გეფინებათ დრუბელი სქელი.

## ნუკრი ბერეთელი

### ნამიანი ლექსი

მტბორავს მუსიკა. წვიმს „Secret garden“, „გველის პერანგის“ დავიწყე ჩაცმა, და მინდა — ისევ — არაფრით მგავდე, რომ საკუთარი (დღემუდამ) ჯვარცმა შენც არ იხილო; იხილო შენც არ:

როგორ გავლენე ფრჩხილებით ხორცებს, როგორ კვამლავენ ლილო-ზეცას, და გულზე, ისეც აქა-იქ რომ ცემს, დგებიან ფეხით. ადიან ზემოთ.

პერინათ, უფლეს მიარტყეს კეფა ლანჩაზე. თუმცა, კვლავ სისხლის გემო გაჩრიათ ტვინში... და თოკი წყდება... არ მინდა, რომ შენც დაგაჭრან ფრთები, არ მინდა, რომ შენც გადაგცენ ხატზე!

ნაილო (მაინც, აქ არ ჩანს) კდემა

შენი და ჩემი ნაძარცვი განძი —

„სიყვარული“ რომ დაარქეს მავანთ.

ნაილო, გასცდი ამ მგლების ხოროს.

ნადი იქ, სადაც ყოველდღე ჩავა

მზე და ამოვა კიდეც... და ქორო

დღეების, სადაც ცრემლს ალარ გადენს,

სადაც მოლოდნის ექნება ფერი

შედივე ზეცის... და „Secret garden“

და მზე და შენი ფერმკრთალი ხელი...

### ნამიანი კონი

ჩემი ქვითკირის ღრიჭოთაგან სიცივე ატანს.

ადარ მოხვიდე!

დამდევს დამხრებალი თოჯინის ლანდი,

თვით ვარ ქოხი და

ამძვრალ ანჯამებს ვაჭრიალებ, როცა დუმილი ყელში ამოდის.

ვიდას უმალო, რომ სიცოცხლე (ვიდას ვუმალო!) გუშინ ლამდან

ალარც ლარი და ალარც ცენტი, ალარც გროში ლირს.

ლამეს მაზიდებს.

თქვა, ხომ თბლოდა (თქვა!) ქოხს შიგნით,

გვექონდა ჯაზი და

შენს ხელისგულზე დატეული ქულა სიმშვიდე...

მოვარე — ხანდახან.

და ერთმანეთის (თქვა!) დაკარგვის ჩუმი შიში და

ჩემი ჩარდახი —

მოგონებების, სიზმრების და ოცნებებისთვის.

(რომ არც ემარდა)

და როგორც იქნა, როგორც იქნა, ძლიერ რომ მეღირსე

და მიხარდა,

მაშინ დამიგდე ლიად კარი, მაშინ ნახვედი —

მოუხედავად.

ახლა სიცივე მიაქვთ ქარებს. ველარც გახვეტეს.

ველარ ხედავენ

ჩემი ჩამქრალი დარაბები. ბრმა ვარ. კუტი ვარ.

ამომდის ხმაც არ.

და შიშჩამდგარი (ჩამომხრებალი კატის კნუტივით)

მიყურებს სხვა ცა —

ჩემივ თვალებით... დედაბოძს თუ, ვეყრდნობი არგანს...

ალარ მოხვიდე!

შენ ალბათ ისევ ბროლის კოშკზე ოცნებობ, კარგო.

მე — ქვის ქოხი ვარ.

### გულალა ლექსი

ახლა სიბნელე აწვალებს ფარდას —

კატის კნუტივით.

მე ვწევარ ზურგზე...

ირნევა ნავი, თუ დედის კალთა

და არმაზს უჩანს წაზრდილი კუზი.

მთვარე ჰგავს პურის ობიან ყუას, თვალები ისევ ნაცრით მაქვს სავსე.

შორს, ნადაბურთან კვლავ მგელი ყმუა

და ცარიელ დოქს ყმუილი აგსებს.

ვერაფერს იტყვი — იქაც და აქაც, უთუოდ კველებან მოყირჭდი ყველას, ვით საძინებლის თეთრ ჭერზე ლაქა, ვით პანირში მოხუცის ხელა...

დაწუნებული ლექსების ხემსი ჩანწყა უნდა, აუყვე მაღლობს, და ქრისტემობის (ზანატრი) მსგეფსი მშრალი რითები ლოღნო თუ ალლო —

მაგ დაშამრული, ძირმარე ენით, ჯერაც რომ ვერ თქვი ნანატრი სიტყვა... თუ ნერვებს მხოლოდ დაწყვეტა შველით, თუ ზეცას შვენის ფერები მიტკლის,

ფეხს ნუდარ ითრევ მოხურულ კართან! (ხედები, ჯვრის დამას დაეცა ტუზი.) ირნევა ნავი, თუ დედის კალთა და არმაზს უჩანს წაზრდილი კუზი.

### გიცულის კარი

ჩვენ გავებულეთ ერთმანეთს გუშინ,

მას მერე მიჭერ დუმილის არტახს.

ცას მოერია ფერები ლუში,

მინაძ ძაბების დაინწყო გახდა,

გათვენდა, ანუ — მარტივად რომ ვთქვათ.

მარტივად რომ ვთქვა, დამთენთა ისე

შენი სახლის მთელ დამით ბოდგამ...

და უშენების სუსხი და ნისლი

ამიგვებს ფილტვებს. როცა მზე გავა

სამ შუბისტარზე, დამშუბავ ეჭვი,

რომ შენ გერქმევა ვილაცის დამა...

და წყვილ ნაბზარში მარცხენა ბეჭის

გამივლის ქარი! — სამგორულ ყინვებს

გადაატარებს გომბორის ფერდებს.

შ

დასაწყისი №60-61

და იმ ფანერსა და ატლანტიდელებსა კიდე რა უჭირთ და უჭირდათ, შეღებილებიდან სალებავებზე ხომ ჩამოირეცხება ხოლო ზოგ ბევრ და დიდად განვითარებულ (განსაკუთრებით კორციპივად) ქვეწებსა და ხალხში აი ისეთი ტატუირებანი შემოვიდა რომ,

სწორედაც რომ, —

მეტიცასასტაული

და, გადასარევერემობატონო, —

კაცო, ჩვენს ახლოდნასრულსა დროში (ახ. XX-სი საუკუნის I-II ნახევრების გრინგიჩის დროის) ვისიძე მელზე გინდაცდა მხოლოდ ერთ-ასოიანსა თუმცა თავის წერტილით და უწერტილოდაც ამოტატურებულს რამს-ს თუ დაუნახავდით, აისი-კაცი ან პლეასოველი (იყო ერთიც ასეთის სახელდებისა უბრალო ქუჩა იარა და, მთლადაც პროსპექტი) ან ჰავლაბრელი ანდაც სოლოლაკ-მთანმინდელი აღიარებული განაბი-ვინმე გვეგონა ჩვენ-ჩვე კარგაც დამფრთხალება, ისა,

ახლა კი,

რატომდაც დიდად განსხვავებული, ძალიან, ხალხი, ინემსამს ამა-საქმისა სპეცებისაგან, თავსა — არა, თავსა კი არა უფრო მელავებს და ულსა თუ ზურგსა და ძანაც ხმირათ აი იმასა ჩვენა რო-ვიცი სუყველასა და, გვააქსც, მაგრამ მანიცა მიძღელდება, თქმა, აქამდე როგო-მამყობიარო და, უხამს-გამოთქმით წყალში ჩავყარო ეს-ყველაფერი ჩემიდათქვენიც?

„

მოკლედ, იმასაც, რაღა, ისვირინგებენ სასავარლეულურსა, ჰო — აი ეს, როგორად კარქა გამამიუდა, სავარძელი ხო — ლეგალურია, რა — არ გჯერამსთ ჩემი? — მაშინ აგერა თვით მინისტრების თვით თუგინდაცა I-პირულსა მუადგილებს შიგ პირში, ჰკითხეთ, რა ძნიადების ძნიად მტვირთულ, სავარძლებზედა,

ხოლოკა, ვიცი არ დაიჯერებსთ და, აბა თუ იცით ვინ იკეთებრ სსებზედა-ხშირა ტატუირებებს — შენაურულათ, ნაკოლებას? — არ შეგვშინაურებია თუ, რა, — აი ვინ-ვინა იკეთამენ და, რა ვქნა თუ ჰერარ ჩამორჩენილი მე მანიც გეტყვით, აი ვინა და,

ჰოლოკა, უადგენ ლამაზნები და ვარსკვლავურათ ის სექსც-ბომბები ინტიმურებს რომ ეძახიან და, იმათთან ერთად? —

იქაურული აი ისეთი ბოქსიქსიქ-სიქსაქსიორები რო?

რგა-ცხრა ვირისა ჯანები რო ააქესთ მუსკულისტს-ტანში და თავები კიდე ისე ამტანი? —

ადრეც-ხსენებულ თურქებისა და სხვაც ერებისაც როგორებ-ნაცემ ბარაბანებივითა,

და ეს ამდენი ლაპარაკებ-და-ლაყები და ბოდიალები და მიდებ-მოდება ეგებ იმიტომ დამსჭირდა რომ ჩვენი ეს ყოფა, დღევანდელური, შეგიმსუბურებოთ, მაგრამ ვა-ი-თუ, დაგიძძიმოთ, კ, რადგან ისა მდგომიარობა-ატლანტიდური ეგებ რაღაცით გვეცნო-კიდეც, და გვენაცნობა, გვეთვალისწინა ჩვენცა, აა-ვაიპ, ჩვენცა, — და საყვედურით არ მითხრათ რომა, — „ეს ეს ხო, ჩვენში?“

რადგან ჯერ სად ხართ, მთლად უარესებსც გადავანებდებით იუბილესა-მსგავსსა თავში, საიტილეო თავის ესა, ნუმერ X, აბა და ბატონებო და ქალბატონებო და ლეინდანდენტლინ და გოგუბო თუ ბიჭებო გამაგრევით, როგორამტანი მთლად-აქამდეც თვალი და გული, აქე მთარდება X თავი (თავი არა, ის...) და შეგვეცრება, შეგვეცეთება მოლიპულს გზაზედ

## თავი XI

## უკიდურესი გადახვევები

სერჩე იდგა თ, წყალს გაპურებდა.

იმ ღამე-ბენელში ოკეანედა როგორ ლონივრად ლივლივებდა სავსე მთვარეთი როგორ ბაცად და თანაცვე მეცაცრ ფრთხილებებად აბუტებული ხან სად და, ხან, სად, და ატლანტიდისაკენ ნაპირს თუმცა ნელი ზმორებით მედინი („მომდინარე, თუ წარმდინარე“, — საბა, წყარი ტალღებით ოკეანე-ის მართლა სუნთქავდა აკეანურად დაგუბებული დიდად ძალუმი სიმშვიდითა და, შიგადაშიგ, ოხრავდაც, თითქოს, თ-ს საემარისად ესმოდა მისი, დაფიქრებულიდა აკეანურებდა, პეშვით ინიურა ეპყრა, უწოდებ მიედო და იქიდან კი გამოგუბებულ ხმებს, როგორ ძალიან ტალღისმიერო, მიუგდებდა, ყურს, თს არ უყვარდა, ვერ იცოდა თმ ტყუილუ-

ბრალოდ ცქერა და სმენა, ალიონისპირს სერზე იდგა თ, საიდანლაცით მარტოდ მოსული, ატლანტიდებში, და აი ოკეანე ხომ ძალიან უზარმაზარულად დიდი იყო მაგრამ ცქერისაც გარდა ზემოდანაც შეიძლებოდა მასზე, როგორ ძალიან უზველებელზე, დაცქერა თუმც როგორი ძორშა, და თავისა შეებიდა რომ თუ დაჯდა, ხავსაზე, მაგრამ შეიძიოთ სულ არ შემინებია, მორიცებით კი, მოერიცა, კი, იქვე ურთხმებულიც იდგა დიდი მაგრამ ზურგით არ მიყედებია, მოკუნტულივით იჯდა ახლა ძალიან გამხდარ-გამხდარი თ და გინდაც გამრთული მაგრამ სიგამხდრით მაინც მოკუნჩხულს წააგავდ-გავდა მეტად დარდული ფიქრებისაგან დამჭლევებული, თ, რა აჭირვებდა და, — ვინ რა იცოდა ეს მლევიანი რისაგან სჭირდა, თს, ნეტა რამდენი წვეთი იყო რევანეში, საერთოდ, კვეყნაც და, ამისაც კი შეიძლებოდა რაღაც ზეძალით დათვლა-დადგენა შენ ისა რევით თუ ნეტა საიდამ ინყებოდა და მათვრებდებოდა თვით დოკუმენტი და სივრცე — ერთიმიერის გადამაცავთავნი რომ როგორც ის ჯვარი რომელზედაც რომ როგორ მნარედ მიალურსმენს, გავარეს ქრისტე და ჯვარზე, ჯვარცმაზე მთლად არაფერი ახსნა აქვს

ეს კიოცოდა ვითო-ბერიავმა მთლად ეულ-მა თ, და მისით ერთადერთხელ და სამ-უდამოდ გადარჩენილმა ატლანტიდურ-მაც კი ციცინათელამ როგორ დასავა უცხო სინათლის დამლა შუბლსა და მკერდსა და მხრებზე ნოეს

და შეებოდა, როგორ, ჯერჯერობი-

თაც კი, —

კი.

ნამოდგა თ და, ქალაქს დააცქერდა.

ბუტავდა, ალაგ, ღამისგამბზარავ

მცირე კვარებით და ფინასმული ჩინჩე-

ვარებით სუსტის ციაგით ბდვინვარებუ-

ლი, თ დაცქეროდა იმსახლებიან შექუ-

ჩებულბობას რომელიც უნდა ყოვლილიყო

— თანამრავლობასა და თანასახლობასა

რაღაც სახელედების, ვინათვან კაცი

ერთი ვერ კმა ეყრდნობის თავსა თვისსა,

არამედ რათა შევენერდეთ ერთი მეორე-

სა და სარგებლობასა მივანაყოფებდეთ

რაც არამდე სულაც არ იყო ატლანტი-

დაში არამდე ძალიან პირები,

უნდებისაგან, ისე მინაზე დაჯდა თ,

დიდ-ბერიავობით საცოდავი რადგან იმ-დე-

დე ფულური იმხედვებით ამათ როქონდა

ჯიბებისა თუ უბეში ხორციანდებით, და

ილვიძებდა, კი, ატლანტიდა,

ილვიძებოდა,

ჰარევინასი რძალ-ჰირან კი გადა-

ტვირთული ღამისა შემდგომ დალურუ-

ლობებს ცალვალ-დაუქულებილი და მეორე-

თი კი ფულიდათვლითვი თვალ-ხელილი

მრავლებისნანა ხელისგულებს ნაზად

ისლმდა სულ კრუტუნ-კრუტუნ-სიამონენე-

ისაგანა,

— ამ უთენია, — გახარებული ამბობდა

პოპულარა, — რამ მოგანდომა ჩემი თავი,

— თავი არა ის... ეგრევ დანევი, — ან-იჩქა როგო-კატეგორიული იყო, სამართალდამცა-წესრიგული?

— აი, მესმის,

„ნეტა დღესაც გამამაჭერინი ის ფს-

ლიკინი, იჩქანალა, მაგრამ ახალსა ისეთ-

სა დაცირდე რო, ნებას ისევ“, —

ძალიან ჰარებოდა ცეკვიტებიდათვება,

დალვრემილურ-და-ნაფიციცენილმა კონსტი-

ტუციოთც მერმა, ანიჩქიმ,

და, კი დევ კარგი კორომებთან გადა-

თონილ ბურის საყანედან უთენიადა რომ

ბრუნდებოდა ეს როგორ მართლად დალ-

ლილი გაზაფხულობით უფრო, ნოე, ღამით

შრომიბდა რადგან პადრესათვის დაუშვე-

ბელი იყო მუშაობა — „უნდა სცოლდნადა

თავისია, ფასი“ — კონსტიტუციით, ეს, და ამიტომაც მთვარიანში ხნავდა, ბარავდა, თოხიდა, სთესდა მინა-ძალიანამორ









უცარიელებდა. მაგრამ ყოველი ადგილის, კონტინენტისა თუ ყავის ნაყენისფერი მდინარეების, თავდახრილი ხორბლის ყანების, ატლანტიკის ნაპირის რვასას მილის, ცენტრალური პრერიების, ნედლი ნიოთელი ჰიდრონტისა და ტროპიკული დაბლობების მიღმა ყოველთვის თავს იჩენდა მისი სულის ბნელი მხარე, მისი გულის სურვილი, – ხსოვნა მამისეული მიწისა, რომელიც არასოდეს უნახავს, მაგრამ თავისი სხეულის ყოველი ატომით სცნობდა, როგორც ადამიანის გორების უცნაურ, ფანტასმაგორიულ თანამდევ ჩრდილს. ეს იყო ბარაქიანი, კეთილშობილი, დიდებული მიწა, რომელიც საცხოვრებლად საკმაოდ ვრცელი იყო და ალსრულებული სურვილების კედლებში მოქცეული. ამ მიწის ოკეანის მიღმა, თავის ხილვებში, ის ფიქრობდა მამისეულ მიწაზე, მის დიდ წითელ ბეღლებზე – კეთილ, დიდებულ მიწაზე, მის ნათელ სახლოვეზე, აჩრდილად ადევნებულ უცნაურობაზე, ბნელ, იდუმალ გულზე და მის მშვენიერ და ტრაგიკულ სილამაზეზე. ის ფიქრობდა ნავსადგურიდან მოქროლი სუნზე, ზღვიანი ქალაქების, გემების სმებზე, წითელ ღვინისფერ ვაშლებზე, მოყავისფრო-მოწითალო ნიადაგზე, მყუდრო უამგამოვლილ სახლებზე და მის ენითუთქმელ აღტყინებაზე.

შეუქმა ძალა მოიკრიბა, მიწა და მისი კონტურები მკვეთრად ამოტივტივდა და განთავის შეუქმი იგი კვლავ ხედავდა მნირი და გამოფიტული მიწის სიმარტოვეს, ეს-მოდა გაზაფხულის საამო და მოულოდნელი ხმები, ხედავდა ხავსმოდებული კლდეების გაცვეთილ და დრომოძალუბულ ფორმებს, მზით გაშანთული მინდვრების ნაყოფიერ ნიადაგს, წესრიგში მოყვანილ, ყაირათიან სისუფთავეს, საგაზაფხულოდ ამოყრილი მცენარეების სიჭარებს, რბილ, სათუთ ლეროებს. ზოგან მიწა შემოლობილი იყო, ადამიანის გულივით დიდი, მაგრამ არც ისეთი დიადი, როგორც კაცის სურვილი, მისი გოლია-თური ხეტიალის შემდეგ ამ ბარაქიანი კონტინენტის ირგვლივ: ეს მიწა იმ ოთახს ჰგავდა, რომელშიც ოდესაც უცხოვრია. იგი დაბრუნდა ამ ოთახში, როგორც მეზღვაური პატარა, უკვე დახურულ ნავსადგურში, როგორც ხეტიალით ჟინმოკლული კაცი ბრუნდება შინ.

უმაღვე იცნო ეს მიდამო. იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს მამისეულ მიწაზე მოვიდა; იცოდა, რომ ეს რაღაც ჯადოსნურობა იყო, მაგრამ სიტყვით ვერ გამოეხატა; იგი დროის მიჯნაზე იდგა და მთელი თავისი ცხოვრება მირაჟად ერევნებოდა, – თითქოს ყველაფერი რომელიღაც გრძეული ჯადოქრის შელოცვით მომხ-

გასაოცარი რამ მოხდა. ერთ დღესაც, ბიჭება უეცრად გამოილვიძა და აღმოაჩინა, რომ შეპყურებდა თავზემოთ მტრწყინავ ვარსკვლავებს. პირველად ვერც კი მიხვდა, სად იყო, მაგრამ სანამ ირგვლივ მიმოიხდავდა, უკვე იგრძნო, რომ ეს ადგილი ადრეც ენახა. ცირკის მატარებელი სოფლის შუაგულში გაჩერებულიყო, მაგრამ გაჩერების მიზეზიც ვერ გაეგო. ეს-მომდა ორთქლმავლის დუნე და წყვეტილი ქშენა, ესმოდა ადამიანთა უცნაური ხმები, ფურგონში შემტული ცხენების ფლო-ქვების თქარათქურა და მის ირგვლივ მიმდინარეობდა.

გამეფებული საპედისნერო სიჩუმე მიზისა. უცებ ნამონინა ბრეზენტის გროვიდან, რომელზეც ეძინა. ეს განთიადამდე მოხდა: აღმოსავლეთით ცა უკვე ნათდებოდა დღის პირველი შუქით. ზეცას ეპარებოდა სინათლის სუსტი, ცრიატი, მოჯარებული ნაკადი და მოსკვლასთან ერთად ვარსკვლავებს უსასრულობაში სძირავდა. მატარებელი ლიანდაგების გასწვრივ სწრაფად მომდინარე მდინარესთან შეჩერდა და ახლა უკვე გააცნობიერა, რომ ის პირველი სიჩუმის ჩქამი იყო მდინარის სწრაფი და უწყვეტი მუსიკა.

უმაღვე ადგა და მინაზე ჩამოხტა. იცოდა, საით უნდა ნასულიყო. ბილიკის გასწვრივ პატარა მოსახვევი იყო. მინის გასწვრივ, ლიანდაგზე მოძრავი, თითქოს მნუხარე და ლამაზი ღრუბელი განილილი იყო, რომელიც მრავალჯერ ენახა. მატარებელი უკვე დაძრულიყო, ზარიც რეკდა და მძიმე სატვირთო ვაგონები მირახრახებდნენ. ბიჭი ბილიკზე დაბრუნდა. იცოდა ერთ მილზე ნაკლები იყო იქამდე, სადაც კაშხალის სათავის ზემოთ ნაკადი დუღლდა. იქ ხიდი იყო. როცა ხიდს მიაღწია, შუქმა იმატა, მკვეთრად გამოჩნ-

წვიმას მდინარე საამო, სუფთა წვიმით  
გაჟღენთილი მინის ნალექით აეგსო. უკვე  
ხედავდა ნაპირებიდან დახრილ ნორჩი  
არყის ხეგბის ბრწყინვას. მეორე მხარეს კი  
დაინახა თეთრი, დაკლავნილი გზა, გზის  
მიღმა ბაღჩა, ხავსმოდებული ქვის კედე-  
ლი, ვაშლის ხეგბის მწკრივი, ხეგბისა,  
რომელთაც ქუჩის გასწვრივ გაეძალათ  
თავიანთი დაკოურილი ტოტები. ცრიატ  
სინათლეში შეამჩნია, რომ უხვი ყვავილი  
გამოელოთ და გრილმა, დამათრობელმა  
სურნელებამ გააბრუა. როცა მკრთალმა

და ძევლი ფაბრიკის წითელი აგური, წყლ-  
ის სიკაშვაშებ უფრო ღრმა სიხარული და  
მგზნებარება მითვინა. ხიდი გადაკვეთა  
და გზაზე მარცხნივ გაუხვია. აქ გზა მდი-  
ნარიდან შორს მიღიოდა, მინდვრებს და  
ბნელ ტყეებს კვეთდა და მკვეთრი სიმძაფ-  
რით ქმნიდა ნაძვისა და ფიჭვის საზღვარს.  
არხის თეთრი სიშიშვლე ნეკერჩხლით იყო  
მოჩითული, აქვე იყო ტყიანი ლაბრინთი,  
გვიმრისა და ტყის ახალი ნაყარის საამო  
სიხშირე, ტყის ჩქამი და თრთოლვა არ-  
ღვევდა სიჩქარეს. ნაბიჯი შეანკვა,

A black and white photograph of a large, striped circus tent. The tent features a prominent wavy pattern on its lower half and several triangular flags with stars hanging from its eaves. The background shows a cloudy sky.

კედელზე ჩამოვდა, დაელოდა.

დღის პირველ შუქზე ცაში ჩიტის გა-  
ლობა აიტრა და მან გალობის ყოველი  
ძგერა შეიცნო. გაისმა ტყვიის ნასროლის  
მსგავსი ზუგზუნი, მკეთრი უღურტული,  
შევჭივი, ფრთების ფარფატისა და უცნ-  
აური, სხრაფი ფუსფუსის ხმა, ჩიტების საა-  
მო, თაფლივით ტკბოლი ძახილი, თითქოს  
ციდან თვითნაბადი ოქროს გლუვი წვეთ-  
ები ცვიოდნენ. ახლა ხეებშიც ამღერდნენ  
ფრინველები და კამკამა ჰაერი აიგსო გა-  
ლობით, ტოროლას ფრთების ფარფატით,  
უცნობი ხმებით, შეღინძლული გულიანი  
ჩიტების მელოდიური შევჭივით. ახლა შინ-  
აური ჯრინვალების ძვით-ძვით და წია-

ფერდზე ხამოსკუპებული, შეხიერი ზრუბვით გაცვეთილი ძველი, თეთრი სახლი. სუფთა და გრილი, ის იდგა ხეების ჩამუქებულ ჩრდილქვეშ, საკვამურიდან ამოდიოდა ახლად ანთებული ცეცხლის ხვეული კვამლი.

შემდეგ შეუხვია წაურმალ გზაზე, რომელიც სახლამდე მიდიოდა და იმავე ნუთს წინასწარმეტყველურად კუთხეში გამოჩნდა ძლიერი, ბრგე კაცის ფიგურა, რომელსაც თავისი დიდ, ცალი ხელით მოჰქონდა შებოლილი ლორი და როცა ბიჭმა ბერიკაცი დანახა, ყელიდან უჩვეულო ყვირილი აღმოხდა. ბერიკაცმაც ისე თაილრიალა, თითქოს მინა შეიძრაო.

ბერიკაცმა ძირს დააგდო ლორი და ბიჭის შესახვედრად გაექანა. ნახევარ გზაზე შეიხვდინ ართმანისა, პარი ყავაში ბიჭი

სიკეთლითან და ისიც იცოდა, რომ ის ბავშვი ხელახლა აღარ დაიბადებოდა, იმ დღეთა წიგნი აღარ დაზურებოდა, ქველი შეცდომები აღარ გამოსწორდებოდა. ამ ყველაფრის აღმოჩენით, რაც უკვე დაკარგული იყო, რასაც თავიდან ვეღარ მოიპოვებდა – სიხარულისაგან მწუხარედ ატირდა.

---

**თარგმნა მედეა ზაალიშვილმა**

---

<sup>1</sup> კობლერი – ღვინით, რომით ან ვისკისა და შაქრისგან დამზადებული სასმელი, ლიმონითა და ყინულით.

<sup>2</sup> დასტამბო – ნესვის სახეობა.

<sup>3</sup> გედი – ქაშაყის სახეობა.



თარგმნა მედია ზაალიშვილეა

<sup>1</sup> კობლერი - ღვინით, რომით ან ვისკისა  
და შაქრისგან დამზადებული სასმელი, ლი-  
მონითა და ყინულით.

<sup>2</sup> დასტამბო – ნესვის სახეობა.

<sup>3</sup> შედი – ქაშაყის სახეობა.

